საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/99

ქ. ბათუმი 05 სექტემბერი, 2023 წ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე და 50-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების საფუძველზე, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების (ცვლილება- მინისტრის ბრძანება №74/ნ , 04.08.2023 წ.), სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის №1465694 ბრძანებით განახლებული „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის“ (№1465694, 16.11.2022 ბრძანების N1 დანართი) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენ-ტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი (წინამდებარე დადგენილის N1 დანართი).

2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენ-ტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის თანდართული წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილება.**

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: „დადგენილებები“ და „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).

4. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა რექტორის მოადგილესთან შეთანხმებით უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესისა და ერთიანი ეროვნული გამოცხადების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვით დაინტერესებული აპლიკანტების მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმების შესახებ განახლებული ინფორმაციის განთავსება.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზღვაოსნების ქუჩა N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის
გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის
კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის
05 სექტემბრის №06-01/99 დადგენილების
დანართი №1

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე
აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების

ბსუ-ში ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი (შემდეგში - ,,წესი“ ან ,,ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი“) ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - „ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურას.

2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის ,,უმაღლესი განათლების შესახებ’ საქართველოს კანონის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე** აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების და** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის №1465694 ბრძანებით განახლებული **,,მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის“** (ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის) მოთხოვნათა დაცვით.

3. **წინამდებარე წესის მიზანია** ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა (შემდეგში ,,ბსუ-ში სწავლის მსურველი“) **ბსუ-ში ჩარიცხვის პროცედურების დადგენა, ასევე სტუდენტთა მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.**

4. წინამდებარე წესი ადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების (შემდეგში - აპლიკანტი’ ან ,,ბსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველი“ ან ,,ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველი“) ჩარიცხვის პროცედურას **ბსუ-ს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

ა) ქართულ ენაში მომზადების 60 -კრედიტიან პროგრამაზე (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად);

ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) **დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვან) პროგრამაზე ან** მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე;

ე) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

5. ბსუ-ში სწავლის მსურველის ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურებს წარმართავს და კოორდინაციას უწევს **ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შემდეგში „საგარეო დეპარტამენტი“),** ბსუ-ს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტთან, ასევე ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან (სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) თანამშრომლობით.

მუხლი 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირები

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლა დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო

პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც რომლებიც არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ ბსუ გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ ბსუ-ს ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ბსუ-ში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით განცხადებით მიმართონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდეგში – ცენტრი). ცენტრში განცხადებით მიმართვა ხდება ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე და რომლის მიღება ასევე შესაძლებელია ცენტრში.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდეგში – სამინისტრო).

მუხლი 3. ბსუ-ში სწავლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ბსუ-ში სწავლის გაგრძელების თაობაზე (წინამდებარ წესზე თანდართული), ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, რომელზეც სურს აპლიკანტს სწავლის გაგრძელება;

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ნაცვლად უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა, განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული

კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

2. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველმა **უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება ბსუ-ში სწავლის გაგრძელების თაობაზე (წინამდებარ წესზე თანდართული), ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, რომელზეც სურს აპლიკანტს სწავლის გაგრძელება;

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ნაცვლად უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა, განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის გარდა, განცხადებას ასევე უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

ვ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის გარდა უნდა წარმოადგინონ:

ვ.ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლები;

ვ.ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვას.

ზ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის **გარდა** უნდა წარმოადგინონ წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი.

3. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

4. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები სამინისტროსათვის/ცენტრისათვის წარდგენამდე უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

მუხლი 4. ბსუ-ში სწავლის მსურველის განაცხადის და დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველებმა (აპლიკანტმა) ამ წესით გათვალისწინებული **განაცხადი და დოკუმენტაცია შესაძლებელია წარმოადგინოს:**

ა) **ელექტრონული სახით** - ბსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge;

ბ) **მატერიალური სახით** - ბსუ-ს კანცელარიაში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსის პირველი სართული, N1 ოთახი).

2. აპლიკანტის განცხადება ბსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ უნდა შეივსოს ბსუ-ს მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად (განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით).

მუხლი 5. ბსუ-ში სწავლის მსურველის მიღებაზე ბსუ-ს წერილობითი თანხმობის გაცემის წინაპირობები

1. ბსუ-ში სწავლის მსურველის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გადაეცემა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, რომელიც ვაკანტური ადგილების არსებობის შესახებ შესაბამისი ფაკულტეტიდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ბსუ-სი ჩარიცხვის შესაძლებლობის თაობაზე ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობის მომზადებისა და გაცემის პროცესის ორგანიზებას.

2. ბსუ-ში სწავლის მსურველის (აპლიკანტის) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცემა აპლიკანტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ბსუ-ს ფაკულტეტს.

3. ბსუ-ს ხელმძღვანელის - რექტორის წერილობითი თანხმობა ბსუ-ს სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე გაიცემა ამ პირის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების შემთხვევაში.

4. ვაკანტური ადგილების არსებობის შეთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტი, ბსუ-ს უცხო ენების ცენტრის (ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში)/ქართული

ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის (ქართულენოვანი პროგრამის შემთხვევაში) ჩართულობით, უზრუნველყოფს აპლიკანტის მიერ ბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობის დადასტურებას, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

5. ბსუ-ს ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების მიზნით უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს. დასაშვებია ბსუ-ს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველის მიერ ბსუ-ს ,,ქართული ენა უცხოელთათვის" მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული არანაკლებ B1 დონის მითითებით სერტიფიკატის წარმოდგენა.

6. მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის რექტორის წერილობითი თანხმობის გაცემისათვის აბიტურიენტი/სტუდენტი (შემდეგში - აპლიკანტი) უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) <u>უცხო ქვეყნის მოქალაქემ</u> უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და სხვ.);

<u>ბ) ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე</u> აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა), ა<u>სევე საქართველოს მოქალაქემ,</u> რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა);

გ) ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების მიზნით უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა (რომელის მოიცავს კომპონენტებს: 1; მოსმენა; 2. წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიზი; 3. საუბარი).

7. ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველის მიერ პროგრამის სწავლების ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, იგი განსახილველად წარედგინება როგორც პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტს, ასევე ბსუ-ს უცხო ენების ცენტრს (ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის სურვილის შემთხვევაში)/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტს (ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის სურვილის შემთხვევაში). აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები (უფლებამოსილი პირები) აპლიკანტის მიერ პროგრამის სწავლის ენის ფლობის დონის დადასტურებაზე (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) აპლიკანტის სერტიფიკატის მიხედვით გაცემულ დასკვნას ან პროგრამის სწავლის ენაში უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩატარების საჭიროების შესახებ ინფორმაციას, ასახავენ სამსახურებრივ ბარათში და წარუდგენენ ბსუ-ს რექტორს.

8. პროგრამის სწავლების ენაში გამოცდა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) როგორც წესი, ტარდება აპლიკანტთან პირისპირ, საუნივერსიტეტო სივრცეში. ,,დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის დასაშვებია გამოცდა ჩატარდეს <u>დისტანციურად,</u> უნივერსიტეტის ორგანიზებით და პერსონალის ჩართულობით, ბსუ-ში ან სხვა საგანმანათლებლო ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. პროგრამის სწავლების ენაში გამოცდის ჩატარების წესი მტკიცდება ბსუ-ს

რექტორის ბრძანებით. გამოცდისა და შეფასების წესის შესახებ სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე.

10. ბსუ-ს უცხო ენების ცენტრის/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი ამზადებს სამსახურებრივი ბარათს აპლიკანტის მიერ პროგრამის სწავლების ენის ფლობის დადასტურების თაობაზე ან პროგრამის სწავლების ენაში აპლიკანტისათვის ჩატარებული გამოცდის შედეგების შესახებ (აპლიკანტის მიერ გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში).

11. ბსუ-ს უცხო ენების ცენტრის/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს აპლიკანტის მიერ ბსუ-ს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების თაობაზე.

12. ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის წერილობითი თანხმობის გაცემისათვის (მათ შორის, როცა მსურველთა რაოდენობა აღემატება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების რაოდენობას) შესაძლებელია პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის ინიციატივით გამოცემული რექტორის ბრძანებით მაგისტრანტობის კანდიდატის/მაგისტრანტისათვის დაწესდეს <u>გამოცდა ან/და გასაუბრება</u> შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში და ფაკულტეტის/სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (სპეციალობაში).

მუხლი 6. ბსუ-ში სწავლის მსურველის მიღებაზე ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობა

1. ბსუ-ს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის წერილობით თანხმობას სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (ვიზირებული უნდა იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და რექტორის მოადგილის მიერ).

2. უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) აპლიკანტის სახელი, გვარი (პასპორტის ნომერი);

ბ) ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (კოდის მითითებით);

გ) აპლიკანტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების შესახებ.

3. უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა, წინამდებარე წესში აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად, ბსუ-ში სწავლის მსურველის (აპლიკანტის) მიერ წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს/საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 7. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვება

1. ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ ცენტრში/სამინისტროში წარდგენილი ბსუ-ში სწავლის მსურველის განცხადების

დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოსცემს ბრძანებას ამ პირისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების თაობაზე, რომელიც ეგზავნება უნივერსიტეტს.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი უფლებამოსილია სამინისტროს ბრძანების გამოცემიდან 1 წლის განმავლობაში ჩაირიცხოს და დაიწყოს სწავლა ბსუ-ში ისე, რომ შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების მიღწევა. როგორც წესი, ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება უნდა გამოიცეს შესაბამისი სასწავლო წლის (სემესტრის) დაწყებამდე. სამინისტროს ბრძანების, ბსუ-ში ჩარიცხვაზე უფლებამოპოვებული პირის განცხადების და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შესაძლებელია ამ პირთან გაფორმდეს ხელშეკრულება და ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება გამოიცეს სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-7 კვირისა.

3. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი ვალდებულია სამინისტროს ბრძანების გაცნობის შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისიდან მიღებული ინფორმაციის/კონსულტაციის (აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მიღების) საფუძველზე წარმოადგინოს განცხადება ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ, რომელშიც უნდა მიუთითოს კონკრეტული სასწავლო წელი (სემესტრი), საიდანაც შეძლებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

4. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის სწავლების დაწყებისა და ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, მინისტრის ბრძანების გამოცემის შემდეგ გონივრულ ვადაში გამოცხადდეს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე და წარმოადგინოს სტუდენტის პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაცია მატერიალური სახით.

5. აპლიკანტის მიერ არჩეული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანის ოფისი უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება:

ა) ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის განცხადება;

ბ) სტუდენტის პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაცია;

გ) სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი (,,ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად სწავლის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაცია უნდა დადასტურდეს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ).

6. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირმა სტუდენტის პირადი საქმის გახსნისათვის უნდა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება რექტორის სახელზე (საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით);

ბ) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი);

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ორი ცალი ფოტოსურათი (3X4), ელექტრონული ვერსია CD-ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საქართველოს მოქალაქე ვაჟებისათვის);

ვ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასებების და კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი პირებისათვის, რომლებიც

სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უსდ-ში;
ზ) ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია (ასეთი მოთხოვნის შეთხვევაში).

7. ბსუ-ში სწავლის უფლებამოპოვებულ პირთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისი და ინფორმაციას (არსებობის შემთხვევაში პირისათვის აღიარებული კრედიტების შესახებ დასკვნასთან ერთად) წარუდგენს ბსუ-ს რექტორს.

8. შესაბამისი ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივ აქტს ამზადებს საგარეო დეპარტამენტი (გარდა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის ბრზანების პროექტისა, რომელიც მზადდება შესაბამისი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის მიერ). ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება გამოიცემა იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პირის/სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა.

9. ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანებით სტუდენტს განესაზღვრება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი და აღიარებული კრედიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისად, ბსუ-ში სწავლების სემესტრი.

10. დასაშვებია ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურ-ენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს ბსუ-ში მის გამოცხადებამდე და მასთან მატერიალური სახით ხელშეკრულების გაფორმებამდე (მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის ან/და ნების სხვაგვარი გამოხატვის შემთხვევაში/სტუდენტის ხელშეკრულების ხელმოწერილი ასლის გამოგზავნის შემთხვევაში), თუკი ამ პირს საქართველოს ვიზის მისაღებად მიმართული ექნება (ან მიმართავს) საქართველოს საელჩოსათვის შესაბამის ქვეყანაში (რექტორის ბრძანება უნდა მომზადდეს ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე და იმ დათქმით, რომ მინისტრის ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში ბსუ-ს სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევაში ბათილად იქნება ცნობილი ამ პირის ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება, რომელიც ეცნობება შესაბამის საელჩოს).

11. ბსუ-ში სწავლის უფლებამოპოვებული პირის ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ ჩაბარდება/ეცნობება სტუდენტს და განთავსდება მის პირად საქმეში.

მუხლი 8. სასწავლო პროცესის და სწავლის საფასურის შესახებ რეგულაციები

1. წინამდებარე წესის შესაბამისად ბსუ-ში ჩარიცხული პირის ბსუ-ში სწავლის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის, პროგრამის მოთხოვნების შესრულების, შეფასების და გასაჩივრების პროვესის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულაცია დადგენილია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

2. წინამდებარე წესის შესაბამისად ბსუ-ში ჩარიცხული პირის სწავლის საფასური განისაზღვრება ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის

წესით“, ხოლო სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის პროცედურებს და შედეგებს ადგენს:

ა) ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესი“ - ქართულენოვანი პროგრამებისათვის;

ბ) ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესი“ - ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

წინამდებარე მუხლში აღნიშნული სამართლებრივი აქტები ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.